ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3280090

ნომერი: AR1505144

თარიღი : 19.05.2017

გაცემის თარიღი : 05.06.2017

გაცნობის თარიღი : 05.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი გულია , ქუჩა გორგასლის N28- სა და N30 - ის მიმდებარედ, ქუჩა გორგასლის N30 , (ნაკვეთი N2/62) / ქალაქი თბილისი , მოედანი გულია , გულიას ქუჩისა და გორგასლის ქუჩის კუთხეში/ ქალაქი თბილისი , მოედანი გულია , ქუჩა გორგასლის N28- სა და N30 - ის მიმდებარედ, (ნაკვეთი N2/52) / ქალაქი თბილისი , მოედანი გულია , ქუჩა გორგასლის N28- სა და N30 - ის მიმდებარედ, ქუჩა გორგასლის N30 , (ნაკვეთი N2/63) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა კაპანაძე პ/ნ 54001003386
- თბილისი კ.ცინცაძის ქ. N 19/21

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 თებერვლის №3095192 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 19 მაისს №AR1505144 განცხადებით მომართა მოქალაქე მამუკა კაპანაძემ და მოითხოვა 2017 წლის 16 თებერვლის №3095192 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა

შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 თებერვლის №3095192 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, მოედანი გულია, გულიას ქუჩისა და გორგასლის ქუჩის კუთხეში/ ქალაქი თბილისში, მოედანიგულია, ქუჩა გორგასლის N28-სა და N30 -ის მიმდებარედ, (ნაკვეთი N2/52) / ქალაქი თბილისში, მოედანი გულია, გორგასლის ქუჩის N28-სა და N30-ის მიმდებარედ, გორგასლის ქუჩის N30-ში, (ნაკვეთი N2/63) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.18.05.002.097; ფართობი: 2818 კვ.მ) მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
დღეის მდგომარეობით შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები (საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის ფართობი), შესაბამისად განმცხადებელი ითხოვს ხსენებული ცვლილებების ასახვას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 16 თებერვლის №3095192 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, რაც სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 თებერვლის №3095192 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს: ახალი საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის ნომერი N882017361453; თარიღი 17/05/2017.), საკადასტრო კოდად დაფიქსირდეს: #01.18.05.002.113; ფართობად: 2880 კვ.მ.;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 16 თებერვლის №3095192 ბრძანებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.